

ეს
კაც
უნდა
იცოდეთ



თქვენი გზაგვლები სარძევი პირველის პანიტალობაზე

თქვენი¹
გზამკვლევი
სარძევი პირკვლის
ჯანმრთელობაზე



www.lesbi.ge

ფაქტები, რჩევები და ძირითადი შეკითხვები, რომლის დასრულ უნდა ისოდეთ

გოცემული გზამკვლევი განკუთვნილია იმისთვის, რომ მიიღოთ ინფორმაცია თქვენი სარძევე ჯირკვლის, სარძევე ჯირკვლის დაავადებების (განსაკუთრებით, სარძევე ჯირკვლის კიბოს) და სარძევე ჯირკვლის კიბოს პრევენციისა და სერინინგის შესახებ. გარდა ამისა, გზამკვლევში წაიკითხავთ ცნობებს სარძევე ჯირკვლის ოპერაციისა და ცხოვრების განმავლობაში სარძევე ჯირკვალში მიმდინარე ცვლილებების შესახებ.

გზამკვლევის შედგენის მიზანია იცოდეთ, როგორ შეინარჩუნოთ თქვენი ძუძუს ჯანმრთელობა მთელი ცხოვრების განმავლობაში.

1. სარძევე ჯირკვლის პორმონების შესახებ
2. ფეხმძიმობა და ძუძუთი კვება
3. ტკივილი ძუძუს არეში
4. ძალიან დიდი თუ ძალიან პატარა? ძუძუს ზომის შეცვლის ოპერაცია
5. სარძევე ჯირკვლის კიბო
6. თვითგასინჯვა
7. სარძევე ჯირკვლის კიბოს სკრინინგი

სარძველი პირკვლის პორტფელის შესახებ

შესაძლოა, თქვენ არც კი შეგინიშნავთ, რომ სქესობრივ მომწიფებამდეც გქონდათ სარძევე ჯირკვლები. თუმცა, როცა ჯერ კიდევ დედის საშვილოსნოში ექვსი კვირის ჩანასახი იყავით, ისინი მაშინ გაგიჩნდათ. როდესაც თქვენ დაიბადეთ, ძუძუს თავები და სარძევე დვრილების საწყისი სისტემა უკვე არსებობდა. ეს ადამიანს ხდის ერთადერთ ძუძუმწოვრად, რომელსაც უყალიბდება რძის წარმოქმნელი ჯირკვლები მანამდე, ვიდრე მას ეს დასჭირდება.

თუმცა, შემდეგ სქესობრივი მომწიფება დგება, რომელიც იმ პორტფელთა ერთობლიობას წარმოადგენს, რაც იღლის ქვეშ, ბოქვენზე და წელზე (ზოგიერთს ახასიათებს) თმის ამოსვლას იწვევს. შემდეგ იწყება მენსტრუაცია, სისწრაფით ცხიმის მატება, დიახ! ცხიმის მატება თქვენს ძუძუში (სინამდვილეში, ძუძუს ქსოვილის უმეტესი ნაწილი ცხიმს წარმოადგენს, განსაკუთრებით წლების მატებასთან ერთად). თუმცადა, ცხიმი თქვენი ძუძუს მხოლოდ ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. დანარჩენი შემადგენელი ნაწილებია:


- ალვეოლი: მიღისებრი ღრმულები, რომელიც შეერთებულია სარძევე სეკრეციის უჯრედებთან;
- სარძევე ჯირკვლები (რამდენიმე ალვეოლი);
- ძუძუს თავები: ძუძუს ნაწილი, საიდანაც სარძევე ჯირკვლები-დან დვრილები გამოდის.

ესტროგენი ანარმოებს მთლიან პროცესს, რადგან, ამ უკანასკნელს უდიდესი როლი უჭირავს ქალის მომწიფების პერიოდში. ამის მიზეზი კი ისაა, რომ მკერდის უჯრედები და ესტროგენი ერთობლიობაში წარმოქმნიან რეცეპტორებს ორი ტიპის ესტროგენისთვის. როდესაც ესტროგენის მოლეკულები ხვდება ამ რეცეპტორებს, ისინი იკეტებიან და სარძევე ჯირკვლების დვრილების უჯრედების სტიმულირებას ახდენენ, რომ გაიზარდონ და დაიყონ.

თუმცა ესტროგენი არ ფუნქციონირებს ვაკუუმში. აქვე, პროგესტერონს აქვს თვისი ფუნქცია - ალვეოლის და სარძევე ჯირკვლების ჩამოყალიბების სტიმულირება. შემდეგ, სხვა ჰორმონებს - ინსულინს, კორტიზოლს, პროლაქტინს და გაზრდილ ჰორმონებს - სარძევე ჯირკვლების ზრდის პროცესში შეაქვთ წვლილი.

რადგან ეს ჰორმონები იზრდებიან და მცირდებიან მენსტრუალური ციკლის მიხედვით, ამიტომ, თვის განმავლობაში, თქვენი სარძევე ჯირკვლების ზომა იცვლება. გიგრძვნიათ თუ არა მენსტრუაციის დაწყებამდე ძუძუს არეში გამაგრება (ზოგს პირიქით, უფრო ურბილდება, ვიდრე ჩვეულებრივ აქვს), გამსხვილება ან ტკივილი? ეს ყველაფერი პროგესტერონის მაღალი დონის ბრალია.

სარძივე ჯირკვლის ანატომია



1. გულმკერდის კედელი
2. გულმკერდის კუნთები
3. სარძევე ჯირკვლები
4. ძუძუს თავი
5. არეოლა
6. დვრილები
7. ცხი-მოვანი ქსოვილი
8. კანი

ფეხმძიმელა და ძარღოვი კვება

არა აქვს მნიშვნელობა, რა ზომის აზლუდი გეცვათ, სკოლა რომ დაამთავრეთ. თქვენი ძუძუ არ ითვლება მთლიანად ჩამოყალიბებულად მანამდე, სანამ ფეხმძიმობის ჰორმონები და ლაქტაცია არ გაჩნდება. სწორედ მაშინ ხდება სარძევე დვრილების სისტემაში ზრდა უთვალავი რაოდენობის სარძევე ჯირკვლის წარმოშობისას. ეს ცვლილებები შეინიშნება ფეხმძიმობის ძალიან ადრეულ ეტაპზე, მიუხედავად იმისა, რომ ცხრა თვის განმავლობაში ქალს არ სჭირდება ისინი. სინამდვილეში, ზოგიერთი ქალისთვის ფეხმძიმობის ადრეული ეტაპისთვის დამახასიათებელი მგრძნობელობა და ტკივილი ძუძუს არეში, და მასთან ერთად პირველი ნაწიბურების გაჩენა, არის პირველი მინიშნება ფეხმძიმობაზე.

ფეხმძიმობის განვითარებისას თქვენი ძუძუ იზრდება. შესაძლოა, ზედაპირზე ვენები გამოჩნდეს, რადგან სისხლის მიწოდება იზრდება და ძუძუს თავები მუქდება. ფეხმძიმობის მეხუთე ან მეექვსე თვეში უკვე შეიძლება, ძუძუდან უფერო გამონადენი შენიშნოთ, რომელიც იქნება თქვენი ჩვილის პირველი საჭმელი, თუ ძუძუთი გამოკვებავთ.

ძარღოვი კვების უკირატესობები

მაშინაც, როცა მხოლოდ რამდენიმე დღე ანდა კვირა აქმევთ ბავშვს, დედის რძე შეიცავს საჭირო ანტისენსულებს, რომელიც ბავშვს ავადმყოფობისგან იცავს, რადგან მისი იმუნური სისტემა პირველი წლის განმავლობაში ყალიბდება. ამიტომ პედიატრები ურჩევენ დედებს, რომ ჩვილები პირველი ექვსი თვის განმავლობაში ძუძუთი კვებონ.

სარგებლი ძალათი კვებისგან

კვლევების მიხედვით, ძუძუთი ნაკვებ ბავშვებს გონიერივი შესაძლებლობების ტესტის ოდნავ მაღალი ქულები აქვთ, განსაკუთრებით ბავშვებს, რომლებიც ნაადრევად დაიბადნენ. ძუძუთი კვება ასევე ამცირებს ყურის ინფექციების რაოდენობას და ახალშობილის უცარი სიკვდილის სინდრომსა და მოულოდნელი ინფარქტის რისკსაც. გარდა ამისა, ის ამცირებს სისმსუქნის ალბათობას და შეიძლება ბავშვები აღერგისგან დაიცვას. დედის რძით ნაკვებ ბავშვებს ნაკლები სტომატოლოგიური პრობლემები აქვთ ცხოვრების განმავლობაში, ნაკლები რისკია, რომ დიაბეტი (ტიპი 1) განუვითარდეთ; მათ, ასევე, ნაკლები ფიზიოლოგიური, ქცევითი და სწავლის პრობლემა აქვთ როცა იზრდებიან. მეტიც, ისინი ვინც ძუძუთი იკვებებოდნენ, ბავშვობაში ნაკლებად შეიძლება დაემართოთ ბავშვების ლიმფომა, ლეიკემია, გაფანტული სკლეროზი, დიაბეტი, ნაწლავების ანთებითი დაავადება, ბავშვების გასუქება და ცელიაკია. ამასთანავე, ადამიანის რძე ბავშვის კოგნიტიურ და ვიზუალურ განვითარებას უწყობს ხელს. თუმცა ძუძუთი კვება მხოლოდ ბავშვისთვის როდია სასარგებლო, მას თქვენთვისაც მოქვს სარგებელი:

- ხელს უწყობს საშვილოსნოს დაუბრუნდეს მშობიარობამდე ზომას და ამცირებს მშობიარობისშემდგომ სისხლდენას;
 - აადვილებს წონაში დაკლებას (ძუძუთი კვების თითოეულ დღეს ხარჯავთ 500 ზედმეტ კალორიას);
 - შესაძლოა, შეამციროს მშობიარობისშემდგომი დეპრესიის ანდა სარძევე ჯირკვლის და საკვერცხების კიბოს რისკი;
 - შესაძლოა, კონტრაცეფციული ეფექტი (თუმცა, მაინც უნდა აკონტროლოთ დაფეხმდიმება, როცა განაახლებთ სექსუალურ კავშირს).
 - იზოგება ფული.
- შეკვითხეთ თქვენს ექიმს: ძუძთი კვების დროს უნდა შევცვალო ჩემი დიეტა? რომელიმე სახის პროდუქტი გავლენას მოახდენს ჩემს ბავშვზე?**

რჩევები ძუძუთი კვებისას

- შეამოწმებინეთ თქვენს მედდას ან ექიმს, თუ როგორ აქვს ბავშვს მიმაგრებული ტუჩები ძუძუს წოვის დროს, სანამ თქვენ ჯერ კიდევ სამშობიაროში ბრძანდებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი შესაძლოა, იყოს არაკომფორტული, ტკივილი მაინც არ უნდა გამოიწვიოს.
- 24 საათის განმავლობაში ძუძუ აწოვეთ 8—12-ჯერ. ყოველთვის აწოვეთ ძუძუ საჭიროების შემთხვევაში.
- ეცადეთ, არ გამოიყენოთ ბოთლი ან სხვა საწოვარები, სანამ ძუძუთი კვება კარგად არ დარეგულირდება.
- სვით წყალი, როცა აწოვებთ ძუძუს. წყალი ხელს უწყობს რძის წარმოქმნას.
- აწოვეთ ძუძუ მშვიდ გარემოში, რათა რძე ადვილად გამოვიდეს.

როგორ ავისილოთ ან ვართოთ ძუძუთი კვებასთან დაკავშირებული პრობლემები

ძუძთი კვება არ არის მარტივი. ქვემოთ მოცემულია ძუძუთი კვებასთან დაკავშირებული ყველაზე გავრცელებული პრობლემები და რჩევები, თუ როგორ ავიცილოთ ეს სირთულეები:

ჭრილობა და დამსკდარი ძუძუს თავები

შეამოწმეთ, როგორ გიჭირავთ ბავშვი, როცა ძუძუს აწოვებთ; წაისვით თქვენივე რძე ძუძუს თავებზე და გააშრეთ ძუძუ ყოველ ჯერზე, ძუძუთი კვების შემდეგ. ასევე, ყოველ ჯერზე, ძუძუთი კვებისას, მონაცელეობით აწოვეთ ძუძუ. შეამცირეთ ძუძუთი კვების დრო 5-10 წუთამდე. ასევე, თქვენ არ უნდა გესმოდეთ წოვის ხმა; თუკი ეს ასეა, ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვს არასწორად უჭირავს თავი. ასეთ შემთხვევაში, ბავშვი უფრო ახლოს მიიკარით და თავი მყარად დაუჭირეთ ისე, რომ მისი ტუჩები მთლიანად ფარავდეს არეოლას.

მასტიტი ან სარძევე ჯირკვლების ინფექცია

თუკი სიცხე გაქვთ ან ძუძუ გაგიწითლდათ, გაცხელდა და გტკივათ, შესაძლოა, ეს მასტიტის ნიშანი იყოს. მასტიტის თავიდან ასაცილებლად, რეგულარულად უნდა დაცალოთ ძუძუები რძისგან.

რძიანა

რძიანა არის სოკოვანი ინფექცია, რომელიც წარმოიქმნება ძუძუებზე და შეიძლება გადაეცეს ბავშვს ძუძუზე პირის შეხებით. ზედმეტად ნოტიო ძუძუ, ნაჭრილობევი ან დამსკდარი ძუძუს თავები, ანტიბიოტიკები, ჩასახვის საწინააღმდეგო აბები, ან შაქრიანი დიეტა შესაძლოა, რძიანას გამოწვევის მიზეზი გახდეს. სიმპტომები: ქავილი, ძალიან ნოტიო ძუძუს თავები, ძუძუს ტკივილი, ვარდისფერი, ქერცლოვანი, ან დამსკდარი ძუძუს თავები. თქვენს ჩვილს შესაძლოა, გაუჩნდეს პატარა თეთრი ლაქები ტუჩებზე და კანი გაულიზიანდეს. რძიანას ასაცილებლად, საჭიროა ჰიგიენის შენარჩუნება, რეგულარული დაბანა და სუფთა ტანსაცმლის ჩაცმა; ასევე, საკვებში შაქრის შემცირება.

ტკივილი ძუძუს არეში

სარძევე ჯირკვლის ტკივილი ქალებში ერთ—ერთი ყველაზე გავრცელებული სიმპტომია. სამედიცინო ტერმინოლოგიაში მას მასტალგიას უწოდებენ. ბევრი ქალი განიცდის ციკლურ მასტალგიას, ან მენსტრუალურ ციკლთან დაკავშირებულ ძუძუს ტკივილს.

ციკლური მასტალგია

ციკლური მასტალგიის ერთ—ერთი მიზეზი შესაძლოა, სარდევე ჯირკვლის ფიბროცისტური დაავადება ან ჰორმონები იყოს. ზოგიერთი მოსაზრების მიხედვით, შესაძლოა, ეს პროლაქტინის მიზეზი იყოს (ე.წ. ძუძუთი კვების ჰორმონი). სხვა შესაძლო მიზეზი შეიძლება, კვების რეზიმში დიდი რაოდენობის ცხიმი ან კოფეინი იყოს.

პიოფსია

ქალები, ვისაც სარდევე ჯირკვლის ფიბროცისტური დაავადება აქვთ, ძუძუს კიბოს უფრო მაღალი რისკის მატარებლები არიან. ამიტომ ექიმმა შესაძლოა, კვანძების პიოფსია გირჩიოთ თავის დაზღვევის მიზნით. თუკი თქვენ საშუალო რისკის (მემკვიდრეობის მიხედვით) მატარებელი ბრძანდებით, მაშინ უღრუაბერითი ტომოგრაფია ჩაიტარეთ ყოველწლიურ მამოგრამასთან ერთად.

ქალიან ლილი თუ ქალიან პატარა?

ძუძუს ზომის შეცვლის ოპერაცია

ძუძუს ზომის გადიდების ან დაპატარავების/ან ფორმის შეცვლის რამდენიმენაირი კოსმეტიკური ოპერაცია არსებობს. ქვემოთ მოყვანილია მოკლე აღნერა:

ძუძუს ზომის გადიდება

თუ გსურთ, უფრო დიდი ძუძუ გქონდეთ, მაშინ ძუძუს იმპლანტაციი უნდა ჩაიდგათ. ამისათვის ორი არჩევანი გაქვთ: სალინის ან სილიკონის გელით იმპლანტაციი. სილიკონის იმ-

პლანტანტი გამოიყურება უფრო ნატურალურად და ნაკლებად სავარაუდოა, რომ გაუონოს, თუმცა სალინის იმპლანტანტი ზომის მხრივ უფრო მოსახაერხებელია. ასევე, თუკი სილიკონის იმპლანტანტს აირჩივთ, უნდა შეარჩიოთ ისეთი მამო-გრაფიული ცენტრი, სადაც პროტეზიანი ძუძუების მაღალი ხარისხის მამოგრაფიას აკეთებენ.

ძუძუთი კვება და ძუძუს ოპერაცია

ქალების უმრავლესობას უსაფრთხოდ შეუძლიათ ძუძუთი კვება იმპლანტანტის ჩადგმის შემდეგაც. თუ თქვენ აირჩიეთ სილიკონის გელის იმპლანტანტი, ნუ შეგეშინდებათ, რომ სი-ლიკონი შეაღწევს ძუძუს რძეში. თუმცა, თუ კი თქვენ ჯერ კიდევ გეგმავთ ბავშვების გაჩენას და ძუძუთი კვებას, შეატყო-ბინეთ თქვენს ქირურგს.

ძუძუს ანევა (მასტოპექსია)


წონამ, ფეხმძიმობამ, ძუძუთი კვებამ და ასაკმა დროის გან-მავლობაში შეიძლება ძუძუს ფორმის დაკარგვა და ჩამოწ-ევა გამოიწვიოს. ანევით, ანუ მასტოპექსიით, შეგიძლიათ დაიბრუნოთ ძუძუს ლამაზი, ახალგაზრდული ფორმა. ზოგჯერ, მასტოპექსია კეთდება ძუძუს იმპლანტანტთან ერთად, გან-საკუთრებით მაშინ, როცა ქალის ძუძუ ფეხმძიმობის შემდეგ დაპატარავდა. თუმცა, თუ თქვენ გეგმავთ ბავშვების გაჩენას, კიდევ მშობიარობას და ძუძუთი კვებას, იცოდეთ, რომ თქვენი ძუძუები ისევ ჩამოიწევა, ასევე, მასტოპექსია არ არის მუდ-მივი, წონა და ასაკი მაინც იმოქმედებს ეფექტზე.

ძუძუს დაპატარავება (დაპატარავება მამოპლასტიკით)

უზომოდ დიდ ძუძუებს (ასევე უწოდებენ „ჰიპერმასტიკა“—ს) შეუძლია მრავალი სირთულის გამოწვევა, კისრის, ზურგის და მხრების ტკივილის ჩათვლით, ნაწოლები ან გამონაყარი ძუძუს ქვეშ, თავის ტკივილი და ნერვების დაზიანებაც კი. მათ ასევე

შეუძლიათ ფიზიკური აქტივობის შეზღუდვა და გარეგნობას-თან დაკავშირებული ემოციური პრობლემების შექმნა, როგორიცაა დეპრესია, სტიგმატიზაცია, დაბალი თვითშეფასება და გალიზიანება. ძუძუს დაპატარავება კოსმეტიკური ოპერაციების რიცხვს მიეკუთვნება.

პუძუს იმპლანტაციი



1. სარძევე ჯირკვლის კუნთი 2. იმპლანტაცი*

*ძუძუს ზომის გადიდებისას იმპლანტაცი შეიძლება მოთავსდეს სარძევე კუნთის ზემოთ (ბ) ან ქვემოთ (გ). მასტექტომიის რეკონსტრუქციისას იმპლანტაცი თავსდება სარძევე ჯირკვლის ქვემოთ.

სარძევე ჯირკვლის კიბო

დედამიწაზე მცხოვრები ყოველი მეთორმეტე ქალი მკერდის კიბოს მსხვერპლი ხდება. მკერდის კიბო (სარძევე ჯირკვლის კიბო) პირველ ადგილს იკავებს არაკეთილთვისებიან სიმსივნეთა შორის გავრცელების მხრივ (23% ყველა გავრცელებულ ონკოლოგიურ დაავადებას შორის). უკანასკნელი წლების განმავლობაში დაავადების მკეთრი გახშირება შეიმჩნევა საქართველოშიც: ძუძუს კიბოთი ყოველწლიურად დაახლოებით 1200 ქალი ავადდება. ის ვითარდება ეგრეთ წოდებული ნინა სიმსივნური მდგომარეობების ფონზე, რომელთა რიგს მიეკუთვნება მასტოპათია და ფიბროადენომა.

ცალკე არცერთ ფაქტორს არ შუძლია გამოიწვიოს კიბო. კიბო ჩნდება კომპლექსურად გარემოსა და გენეტიკური ფაქტორების გავლენით.

წლების მატებასთან ერთად, ძუძუში უფრო მეტი უჯრედი იყოფა. ყოველ ჯერზე, როცა უჯრედები იყოფა, არსებობს რისკი, რომ არანორმალური უჯრედი ნარმოიქმნას. თქვენს სხეულს აქვს მექანიზმი, მოძებნოს და გაანადგუროს ეს უჯრედები; სინამდვილეში, ბევრი მათგანი თვითონ ნადგურდება, რასაც აპოპტოზისს უწოდებენ; მაგრამ ზოგჯერ აპერანტული ტიპის უჯრედი იკარგება, რომელიც შემდგომ იყოფა, მრავლდება, მიეწოდება სისხლი, და იკავებს ადგილს, რომელიც ჯანმრთელი უჯრედებისთვისაა განკუთვნილი. ასეთ მდგომარეობას სიმსივნე, ანუ კიბო ეწოდება.

ესტროგენი ხელს უწყობს სარძევე ჯირკვლის უჯრედების ზრდას. რამდენადაც ცოტაა თქვენს სხეულში ესტროგენი, იმდენად ნაკლებად იყოფა უჯრედები. (ესტროგენის დონე ნაკლებია სქესობრივ მომწიფებამდე, ორსულობისა და ძუძუთი კვების დროს).

მასტოკათია - ჰორმონალური რეგულირების დარღვევით განპირობებული სარძევე ჯირკვლის პათოლოგიური მდგრამარეობა — ყველაზე ხშირად გვხვდება 30-40 წლის ასაკის ქალებში. თუ სარძევე ჯირკვლის შესამჩნევი ტკივილი ნორმაში გამოიხატება მხოლოდ მენსტრუაციის წინა პერიოდში, მასტოკათიის დროს ტკივილი მუდმივად ახლავს თან ადამიანს, შეიძლება იყოს გამონაყოფი (გამონაჟონი) დარღვებიდან. შემდგომში ვითარდება უფრო უხეში ცვლილებები, სარძევე ჯირკვლის ქსოვილში ხდება ქსოვილის კეროვანი გამკვრივება და ყალიბდება ცერცვის მარცვლის ან კაკლის ზომის ერთეულოვანი ან რამდენიმე კვანძი. კლინიკური მონაცემებით, კეროვანი მასტოკათიის დროული მკურნალობის გარეშე, მკერდის კიბოს განვითარების ალბათობა ძალიან მაღალია. ახალგაზრდა ქალებს შეიძლება, გაუწინდეთ კეთილთვისებიანი კვანძოვანი ნარმონაქმნები - ფიბროადენომები, მკაფიოდ შემოსაზღვრული გამკვრივებული კვანძები გლუკი ზედაპირით, რომლებიც თავისუფლად მოძრაობენ შეხებისას სარძევე ჯირკვლის ქსოვილში.

მასტოკათიის და, შესაბამისად, სარძევე ჯირკვლის კიბოს შესაძლო განვითარების რისკ-ფაქტორებს ნარმოადგენს:

- იოდის ნაკლებობა;
- სტრესები;
- არარეგულარული, უწესრიგო სექსუალური ცხოვრება, რაც არღვევს ჰორმონალურ წონასწორობას;
- მაიონიზირებადი რადიაცია;
- ალკოჰოლის და ნიკოტინის ხშირი გამოყენება;
- სარძევე ჯირკვლის ტრავმები;
- ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა (აბორტი);
- სარძევე ჯირკვლის სხვადასხვა ტიპის პათოლოგა;
- ნაადრევი მენსტრუაცია (12 წლამდე);
- გვიანი მენოპაუზა (55 წლის შემდეგ);
- ხშირი აბორტები;
- მშობიარობა 30 წლის შემდეგ;

- ხანძოელე ლაქტაცია;
- სასქესო ორგანოების ქრონიკული ანთებები;
- შაქრიანი დიაბეტი, არტერიული ჰიპერტენზია;
- ჰორმონალური თერაპია;
- სხვადასხვა ტიპის ენდოკრინული დაავადებები;

გარდა ჩამოთვლილი რისკ-ფაქტორებისა, სარძევე ჯირკვლის კიბოს განვითარების ხელშემწყობი შეიძლება, იყოს:

დვრილის ატიპიური ჰიპერლაზია

დვრილის ატიპიურ ჰიპერლაზიას ატიპიასაც უწოდებენ, რაც ნიშნავს დვრილების უჯრედების ზედმეტად აქტიურ ზრდას. თუკი ბიოფსიამ გამოავლინა, რომ ატიპია გაქვთ, მაშინ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ სკრინინგს, რადგან რისკი მეტად მაღალია.

სარძევე ჯირკვლის სიმკვრივე

თუკი თქვენი სარძევე ჯირკვლები მკვრივია და გენეტიკაშიც სარძევე ჯირკვლის კიბოს შემთხვევები გქონიათ, რისკი სარძევე ჯირკვლის კიბოსი 3-5—ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე იმ ქალებისა, ვისაც არ აქვს მკვრივი ძუძუ.

დასხივება

სარძევე ჯირკვლის მრავალჯერადი რენტგენი, რადიოთერაპია ან ატომური ბომბის აფეთქება ამაღლებს ძუძუს კიბოს რისკს სხვადასხვა დონეზე.

სიმსუქნე

წონაში ყოველ 997,92 გრამის მომატებისას, ქალისთვის ძუძუს კიბოს რისკი 1,8 პროცენტით იზრდება. ცხიმის უჯრედები წარმოშობს ესტროგენს. რისკი დაკავშირებულია უფრო სხეულში არსებული ცხიმის პროცენტზე, ვიდრე მის წონაზე.

დაბალი ფიზიკური აქტიურობა

ზოგადად ითვლება, რომ ქალი, რომელიც 45-60 წუთი ვარჯიშობს კვირაში ხუთ ან მეტი დღის განმავლობაში, ძუძუს კიბოს ნაკლები რისკი აქვს მენოპაუზის შემდეგ. ეს შესაძლოა, დაკავშირებული იყოს ფიზიკური აქტიურობის გავლენაზე ჰორმონებსა და წონაზე.

მემკვიდრეობითი ფაქტორი

ოჯახური ანამნეზი — ოჯახის წევრებში და უახლოეს ნათე-სავებში სარძევე ჯირკვლის კიბოს შემთხვევები კიბოს განვი-თარების ალბათობას ზრდის.

თვითგასინჯვა



დღეისთვის, ძუძუს კიბოს განკურნება შესაძლებელია, თუ დაავადება დროულად იქნა აღმოჩენილი. ადრეულ სტადიაზე აღმოჩენისთვის ქალი უნდა ფლობდეს თვითგასინჯვის ტექნიკას და მონაბრძოლებდეს პროფილაქტიკურ გასინჯვებში.

სარძევე ჯირკვლებში განვითარებული ცვლილებები 10 შემთხვევიდან 9-ში თვით ქალების აღმოჩენილია. საუბარია იმ ქალებზე, რომლებიც ფლობენ თვითგასინჯვის მეთოდოლოგიას.

თვითგასინჯვა რეკომენდებულია, ჩატარდეს მენსტრუაციული ციკლის ერთსა და იმავე დღეს, მაგალითად მენსტრუაციის დაწყებიდან მე-5-ე, მე-6-ე დღეს, როდესაც სარძევე ჯირკვალი მოდუნებულ მდგომარეობაშია.

პირველი ეტაპი

თეთრეულის შემონება — უმნიშვნელო გამონადენის შემჩრევა შესაძლებელია ბიუსტჰალტერზე. დააკვირდით, ხომ არ აღინიშნება მოვარდისფრო, რუხი, მომწვანო ან მოყვითალო ლაქები.



მეორე ეტაპი

გაიხადეთ წელამდე და დადექით სარკის ნინ. თავისუფლად ჩამოუშვით ხელები და ყურადღებით დაათვალიერეთ ორივე სარძევე ჯირკვალი. დააკვირდით ზომის, ფორმის, კონტურის ცვლილებებს. ხომ არ არის რომელიმე სარძევე ჯირკვალი ასიმეტრიული ან გვერდზე გადაწეული? ასწიეთ ხელები ზევით და კიდევ ერთხელ დაითვალიერეთ მკერდი. ხომ არ შეიგრძნობა ცალი სარძევე ჯირკვლის კანის ზედ-


მეტად დაჭიმულობა ან დვრილის ზონაში დაქაჩვა? ხომ არ გამოიყოფა დვრილიდან სითხე ამ პროცესის დროს?

მესამე ეტაპი

შეაფასეთ კანის ელასტიურობა, ფერის ცვლილება, გამონაყარის, გამკვრივებების ან ნაწილურების არსებობა.

მეოთხე ეტაპი

დადექით ფეხზე. მარჯვენა ხელით გამოიკვლიერ მარცხენა სარძევე ჯირკვალი, მარჯვენათი — მარცხენა სარძევე ჯირკვალი. გასინჯვა ანარმოეთ თითების ბალიშებით. მოძრაობა უნდა იყოს წრიული და სილრმეში ნელ-ნელა მიმავალი.



შემოწმების არე: ლავინის ძვლიდან ნეკნთა რკალის ქვედა საზღვრამდე, მკერდის ძვლიდან (მკერდის შუა ხაზიდან) იღლიის ფოსოს ჩათვლით.



მეხუთე ეტაპი

დაწექით ბრტყელ, მკვრივ ზედაპირზე, გასასინჯვი სარძევე ჯირკვლის მხარეს ხელი შემოიდეთ თავქვეშ, მეორე ხელით ჩაატარეთ შემოწმება. გაიმეორეთ ის სქემა, რომელიც გამოიყენეთ ფეხზე დგომით გასინჯვის დროს.

მეექვსე ეტაპი

გამოიკვლიერ დვრილები. მათი როგორც გარეგნული მაჩვენებლები, ასევე შეგრძნებები. ორი თითოთ ოდნავ მოსრისეთ დვრილი და დააკვირდით, ხომ არ გაჩნდა გამონადენი. მნიშვნელოვანი ცვლილებების შემჩნევისას მიმართეთ ექიმს. წუ შეეცდებით, თვით დაისვათ დიაგნოზი, ეს კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის საქმეა.

სარძევე ჯირკვლის კიბოს სპრინტი

დღესდღეობით, მამოგრაფია არის საუკეთესო საშუალება, რომ აღმოვაჩინოთ სარძევე ჯირკვლის კიბო ადრეულ ეტაპზე. კიბოს ადრეულ ეტაპზე აღმოჩენა არის წარმატებული მკურნალობის საწინდარი. ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი ფართოდ არის დანერგილი მრავალ ქვეყანაში, სადაც ადრეული გამოვლენის წყალობით, აღნიშნული პათოლოგიებით გამოწვეულმა სიკვდილიანობამ შესამჩნევად იკლო.

ზოგადად, ქალებს ურჩევენ, დაინყონ ყოველწლიური მამოგრაფიის ჩატარება 40 წლის ასაკში და განაგრძონ 70 წლამდე. 50 წლის ასაკში და ზემოთ, სასურველია მამოლოგს 6 თვეში ერთხელ მიაკითხოთ. როდესაც 70 წელს მიაღწევთ, თქვეზეა დამოკიდებული, გააგრძელებთ მამოგრაფიის ჩატარებას თუ არა.

გარდა ამისა, ექიმმა შეიძლება, გირჩიოთ ულტრაბგერი-
თი გამოკვლევა. თუმცა ულტრაბგერითი გამოკვლევა ვერ
ჩაანაცვლებს მამოგრაფიას, მას შეუძლია გაარჩიოს ერთმა-
ნეთისგან სხვადასხვანაირი კისტა და კეთილ და ავთვისები-
ანი კვანძები.

II ფორმაცია მამოგრაფიაზე

- მამოგრაფიის დროს გამოიყენება ძალიან მცირე რაოდენო-
ბის დასხივება. ის არ გიზრდით ძუძუს კიბოს გაჩენის რისკს;
- მამოგრაფია არ არის კომფორტული, მაგრამ უმტკივნეუ-
ლოა.
- გამოკვლევისათვის საუკეთესო დროდ მენსტრუაციის დაწ-
ყებიდან მე-6-12 დღე ითვლება.
- ვიზიტის დღეს, შხაპის შემდეგ ნუ ისარგებლებთ ოფლისა-
გან დამცავი კოსმეტიკური საშუალებებით.
- თქვენი ექიმი გირჩევთ, თუ გჭირდებათ მამოგრაფია უფრო
ხშირად, ვიდრე რეკომენდირებულია

იურიდიულ, ფსიქოლოგიურ და სექსოლოგიურ საკითხებზე
კონსულტაციისა და სერვისების მისაღებად შეგიძლიათ
მოგვმართოთ:

**ჩალთა ინიციატივის
მხარდამშერი ჯგუფი (WISG)**
ქ. თბილისი, 0160, პეტრიაშვილი ქ. N29
ტელეფონი: (032) 237 14 15
ცხელი საზო: 595 19 03 03
ელ. ფოსტა: info@women.ge

საგი-ს, აივ ინფექციის, რეპროდუქციული ჯანმრთელობის
საკითხებზე კონსულტაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ:

**საინიციატივო სამაღისტო-ფინანსობრივი
ცენტრი „თანადგომა“**
ქ. თბილისი, 0112, ა.ქურდიანის 1. N21
ტელ/ფაქსი: +(995 32) 2 35 21 32;
ცხელი საზო: +(995 32) 2 25 18 19
ელ.ფოსტა: center@tanadgoma.ge www.tanadgoma.ge

ქ. ბათუმი, 6000, ვახტანგ გორგასლის ქ. № 113
ტელ/ფაქსი: +(995 222) 27 64 91
ცხელი საზო: +(995 222) 27 42 13
ელ.ფოსტა: batumi@tanadgoma.ge

ქ. ქუთაისი, 4600, ოცხელის ქ. № 2
ტელ.: +(995 431) 26 50 27
ცხელი საზო: +(995 431) 26 50 26
ელ.ფოსტა: kutaisi@tanadgoma.ge

ქ. ზუგდიდი, 2100, კ. გამსახურდიას ქ. № 206
ცხელი ხაზი: +(995 415) 22 92 99
ელ.ფოსტა: zugdidi@tanadgoma.ge

ქ. თელავი, 2200, ერეკლე II-ს ქ. № 19ა
ტელ: +(995) 0 350 27 83 82
ელ.ფოსტა: telavi@tanadgoma.ge

ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის პიპოს სკრინინგის პროგრამა

უფასო გამოკვლევები თბილისში

2008 წლიდან, თბილისის მუნიციპალიტეტისა და გაეროს
მოსახლეობის ფონდის (UNFPA) თანადაფინანსებით, მოქმედებს
სკრინინგის პროგრამა, რომელსაც ახორციელებს ეროვნული
სკრინინგი ცენტრი.

პროგრამაში მონაწილეობა ხელმისაწვდომია თბილისში
მცხოვრები ნებისმიერი ქალისთვის:

- 40-დან 70 წლამდე - ძუძუს კიბოს სკრინინგი
- 25-დან 60 წლამდე - საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი

თუ ეკუთვნით რომელიმე ამ ასაკობრივ ჯგუფს, დარეკეთ
ნომერზე 032 2 20 35 35 და დარეგისტრირდით.

მისამართი: დიდუბე, წერეთლის 69
ვარკეთილი, კალაუბნის 12.

დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის
პროგრამისფარგლებში ძუძუს კიბოს სკრინინგის მიმწოდებელ
დაწესებულებათა ნუსხა:

**შპს „უნივერსიტეტი აზარა“ -
ოცოდობიური ცენტრი**
ქუთაისი, ჭავახიშვილის ქ. N85
ტელ: (995 32) 2 55 05 05

შპს „დეკა“
თბილისი, პ. ქავთარაძის N23
ტელ: (995 32) 2 55 05 05

პერძეული სამედიცინო ცოდნი „ჰიბრიდატე“
თბილისი, მამომობილი ნინოშვილის ქ. 23
ტელ: (995 32) 2 94 05 58

ააიპ „კახეთი-იონი“
გურჯაანი, რუსთაველის ქ. 22 ა
ტელ: 995 551 50 67 63

დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგის
ფარგლებში საშვილოსნოს კიბოს სკრინინგის მიმწოდებელ
დაწესებულებათა ნუსხა:

შპს „უნივერსიტეტი აზარა“ - ოცოდობიური ცენტრი
ქუთაისი, ჭავახიშვილის ქ. N85

**შპს აპ. ზ. ცხეკაიას სახ. დასავლეთ საქართველოს
ინტერვენციული მიზიცინის ეროვნული ცენტრი**
ქუთაისი, ჭავახიშვილის ქ. N83ა

**შპს „უნივერსალ კახეთი“ - ბათუმის დედათა
და ბავშვთა ჯანერთელობის ცენტრი**

ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი N64

**შპს „უნივერსალ აჭარა“ - ბათუმის რეფერალური
საავაღეყოფო**

ბათუმი, ბაგრატიონის ქ. N125

**შპს „უნივერსალ სამცხე“ - ახალციხის სამედიცინო ცენტრი
ახალციხე, რუსთაველის ქ. N105 ა**

**შპს „უნივერსალ კახეთი“ - თელავის რეფერალური ჰოსპიტალი
თელავი, ალაზნის გამზირი**

შპს „დეკა“

თბილისი, პ. ქავთარაძის N23

**სს „სამედიცინო კორპორაცია ევენსი“, -
ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალი
ზუგდიდი, გამსახურდიას ქ. №206**

**ზემოაღნიშნულ მისამართებზე რეგისტრაციისთვის
დარეკეთ: 995 32 2 55 05 05**

პერძეული სამედიცინო ცოდნი „ჰიპოპრატე“

თბილისი, მამომობილი ნინოშვილის ქ. 23

ტელ: 32 2 94 05 58

„მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების ცენტრი“

თბილისი, წინანდლის ქ. 9

ტელ: 995 032 274 69 17, 274 78 92, 274 64 38

ააიპ „კახეთი-იონი“

გურჯაანი, რუსთაველის ქ. №22 ა, ტელ: 995 551 50 67 63

გახსოვლეთ!

თუ ქაშას კიბო
სანყის სტალიაზე
იქნა აღმოჩენილი,
100-ლან 98
შემთხვევაში
განკურნება სავსებით
შესაძლებელია.

„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG) წარმოადგენს ქალთა საკითხებზე მომუშავე ფემინისტურ ორგანიზაციას, რომლის სამიზნე ჯგუფია ლესბონსელი და ბისექსუალი ქალები, ტრანსგენდერი ადამიანები, ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებს მიკუთვნებული, სოფლად მაცხოვრებელი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სხვა მარგინალიზებული ჯგუფის წარმომადგენელი ქალები.

ინფორმაცია ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევების, ჩრდილოვანი ანგარიშების, საჯარო პოლიტიკის დოკუმენტებისა თუ სხვა აქტივობების შესახებ შეგიძლიათ, იხილოთ ორგანიზაციის ვებგვერდზე:

women's initiatives
supporting
group



www.women.ge

ბროშურა გამოცემულია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“
მიერ RFSU-ს ფინანსური მხარდაჭერითა და საინფორმაციო,
სამედიცინო-ფსიქოლოგიურ ცენტრ „თანადგომასთან“ თანამშრომლობით.

მაღალ ინიციატივების
მხარდაჭერის ჯგუფი
WOMEN'S INITIATIVES
SUPPORTING GROUP

WISG
www.women.ge

